პროექტი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №

_____ _____ 2026 წელი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ინტეგრირებული მდგრადი ურბანული მობილობის გეგმის მოწონების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე–16 მუხლის მე–3 პუნქტის, 54–ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

მუხლი 1. მოწონებულ იქნეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ინტეგრირებული მდგრადი ურბანული მობილობის გეგმა („ISUMP“) დანართის შესაბამისად.

(ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ინტეგრირებული
მდგრადი ურბანული მობილობის გეგმა
წინამდებარე განკარგულების დედანს თან ერთვის)

მუხლი 2. ცნობად იქნას მიღებული, რომ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ინტეგრირებული მდგრადი ურბანული მობილობის გეგმა („ISUMP“) შემუშავდა გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის („GEF“) მიერ დაფინანსებული პროექტის - „ქუთაისის დაბალემისიიანი განვითარება ურბანული დაგეგმარების გზით“ ფარგლებში. ინიცირებულია საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს („MEPA“) მიერ და ხორციელდება გაეროს განვითარების პროგრამის („UNDP“) მეშვეობით კავკასიის რეგიონული გარემოსდაცვითი ცენტრის („Rec Caucasus“) მიერ. დოკუმენტი წარმოადგენს „GEF“ პროექტისა და ჩეხეთ-„UNDP“ პარტნიორობის ერთობლივ პროდუქტს, მომზადებულია ჩეხი ექსპერტების მიერ და მხარდაჭერილია ჩეხეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს მხრიდან. დოკუმენტი მომზადებულია ინგლისურ და ქართულ ენებზე.

მუხლი 3. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიამ უზრუნველყოს გეგმით განსაზღვრული რეკომენდაციების გათვალისწინება ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის ფორმირების პროცესში.

მუხლი 4. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ.

მუხლი 5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქალაქ ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 6. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი დავით ერემეიშვილი